პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი პირველი

ს. ქ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

28 ოქტომბერი
პარასკევი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 197 პარასკევი, 28 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 28 ოქტომბერი, 1921 წ. № 197

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ამერიკაში რკინისგზელთა გაფიცვები ფართო ხასიათს ღებულობს.

კომუნიზმი პოლონეთში მასიურ მუშათა მოძრაობად გადაიქცა. გაზეთები მთავრობისაგან მოითხოვენ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

ბალტიის სახელმწიფოების კონფერენციაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც უარყოფს რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას და მოითხოვს მასთან კეთილმეზობლურ დამოკიდ.

დღეს, 28 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საბჭოს საკრებულო დარბაზში (მუშათა სასახლე 1 სართული) შესდგება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის კომუნისტური ფრაქციის სხდომა

საბჭოს პლენუმის წევრთა ამხ. კომუნისტების დასწრება სავალდებულოა პარტიული დისციპლინის წესით.

ს. კ. კ. ს. ფრაქციის ბიურო.

ან იმპერიალიზმი ან კომუნიზმი

მსოფლიო იმპერიალიზმის ავაზაკობამ კაცობრიობა სისხლის მორევში გადაზვა. წვრილ ერთა განთავისუფლება, პროგრესი, კულტურა და ცივილიზაცია, ომების საბოლოოთ მოსპობა, მშრომელთა ბედნიერება და სხვა წარმტაცი ლოზუნგები, რითაც გაბრიყვებდნენ ბურჟუაზიული მთავრობები და რითაც ატყუებდნენ ხალხის მასსებს სოციალ-გამცემლების მაღალფარდოვანი დაპირებით, დღეს, იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ შეიცვალა სულ სხვა, წინააღმდეგი პროგრამით: ხალხთა დამონებით, დაჩაგვრით, ბატონობით, საერთო რეაქციით, მშრომელთა კლასის გაძარცვით.

კაპიტალიზმის ორი ფრონტის შეურიგებელი ბრძოლა ამჟამად გაჩაღდა თვით ევროპაში. რეაქციონური იმპერიალიზმი რევოლიუციონური კომუნიზმის წინააღმდეგ—ასეთია ფორმულა თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებისა. ბურჟუაზიული ბანაკი, საყველთაოდ აღიარებული „წმინდა დემოკრატიის" ზღაპარი გამოდგა: მშრომელთა დემოკრატია—იგივე კომუნიზმის ბანაკი, საბჭოთა ხელისუფლება; ბურჟუაზიული დემოკრატია ბანაკი,—იგივე იმპერიალიზმის ბანაკის ერთ ერთი რაზმი.

სადაც კი ვარდება პროლეტარული რევოლიუციის ალი ან ხანძარი, ის ამკვიდრებს მშრომელთა დიქტატურის ფორმას, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიისწრაფვის. სამაგიეროდ, მსოფლიო ბურჟუაზია თავის კლასობრივ დიქტატურას აძლიერებს უკიდურესად, სისხლისა და შიმშილის მარყუჟში ახრჩობს ყველგან სადაც კი მშრომელთა უკმაყოფილების ან აჯანყების ნიშნები გამოჩნდება. მენშევიკური დემოკრატია ევროპაში, შეიცვალა ბურჟუაზიულ კოალიციაში. ევროპაში დღეს ბატონობს ბურჟუაზიული რეაქცია, რომლის ... სამხედრო პარტია. ბურჟუაზიული რევოლიუციის ქვეყანა საფრანგეთი ევროპის ჟანდარმად იქცა, რუსეთის მეფეების მემკვიდრეთ ევლინება კაცობრიობას. საბჭოთა უნგრეთის ნანგრევებზე განმტკიცებული დიქტატორი დაიდგა ჯალათ ხორტი: უნგრეთის მეზობლების გამოცდილებამ გზა გაუკაფა არა „წმინდა" დემოკრატიას, არამედ გაბრაზებულ გენერლის დიქტატურას. ასეთი სურათია დანარჩენ ბურჟუაზიულ ქვეყნებშიც: ბურჟუაზიული რეაქცია ყველგან იღებს დაუფარავ, აშკარა სამხედრო დიქტატურის ფორმას. ძალა უფლებისათვის იბრძვიან ერთმანეთ შორის ბურჟუაზიულ ფეოდალური ელემენტები და სხვა ჯგუფები, ხოლო მშრომელთა წინააღმდეგ მათი ფრონტი გაერთიანებულია.

უკანასკნელი დეპეშების მიხედვით ევროპაში სახელმწიფოებრივი გადატრიალება განუზრახავს გვირგვინდაკარგულ, ყოფილ ავსტრო-უნგრეთის მეფეს კარლოსს. გადატრიალებაა მომხდარი პორტუგალიაში. პირველი ცნობით, პორტუგალიის გადატრიალება თითქოს კომუნისტების საქმე იყო. ახლა კი ირკვევა, რომ სამხედრო პარტიას მიუმართავს იარაღი რესპუბლიკანური რეჟიმის წინააღმდეგ, ძალა-უფლების ახალ ბურჟუაზიულ ჯგუფისათვის გადასაცემად. ეგევე კარლოსი უიღბლო გამოდგა, გვირგვინი ვერ დაიბრუნა, გენერალ ხორტის გატკბობით უგვირგვინო მეფობა და კარლოსის ციხეში ჩამწყვდევა მოუხერხებიათ.

რითაც არ უნდა გათავდეს ეს შეხლა-შემოხლა მგლების ბანაკში, დარჩება პორტუგალია სამხედრო დიქტატურის ქუსლის ქვეშ, თუ დაიბრუნებს დემოკრატიული ფორ-უმარილით შელამაზებულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკას, შესძლებს თუ არა ხორტი ჩამომავლობით გვირგვინოსანის თავიდან მოშორებას—ყოველ შემთხვევაში მშრომელთა კლასისათვის ეს გაკვეთილი იმის მომასწავებელია, რომ „დემოკრატია" უკვე საისტორიო მნებათაა გადაქცეული. მსოფლიო ძალთა შეხლა-შემოხლაში მას დამოუკიდებელი ადგილი აღარ აქვს, მებრძოლ კლასთა ურთი-ერთობაში ის რეალურ მოვლენას აღარ წარმოადგენს.

კაცობრიობის აწინდელ ისტორიის ასპარეზზე მხოლოდ ორი ძალაა: იმპერიალისტური ბურჟუაზია, რეაქციის მატარებელი და ხალხთა გამათავისუფლებელი კომუნიზმი, მშრომელთა რევოლიუციის მამოძრავებელი.

ან ერთი, ან მეორე. შუაგზა არ არსებობს. ყველა შემთანხმებელი პარტიების უკანასკნელი ისტორია, ყოფილ მენშევიკური რესპუბლიკის უკანასკნელი თავგადასავალი ამას მოწმობს, ამას ღაღადებს. ამას ადასტურებს უნგრეთის და პორტუგალიის უკანასკნელი ამბებიც, რაიც უეჭველია შედეგია ევროპის მთავარი ჟანდარმის, საბჭოთა რესპუბლიკების შეურიგებელი მტრის, საფრანგეთის მახინაციებისა და პოლიტიკური შანტაჟის.

შეუთანხმებელი გამოსვლა ბაზარზე

საქართველოში გასაბჭოების მომენტის შემდეგ ჩვენს სასურსათო ორგანიზაციებში ირჩევა საკითხი—ბაზარზე შეთანხმებულად გამოსვლის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის გატარებული რაიმე, სინამდვილესთან შეთანხმებული განკარგულებები. ბაზარზე მდგომარეობა კი დღითი-დღე უარესდება. მართალია ამ ბოლო ხანებში ზოგიერთ პირველ საჭიროების საგნების ფასები შემცირდა, მაგრამ შესაძლებელია, მდგომარეობა კვლავ გაუარესდეს, თუ არ მივიღებთ სასწრაფო ზომებს.

ბრძოლა ფასების ზრდის წინააღმდეგ და მათ შემცირებისათვის უმთავრესათ სწარმოებს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ორგანიზაციულათ შეკავშირებული მწარმოებლები ჩვენში არ არსებობენ, გლეხობა გულდასმით ადევნებს თვალს იმ კონკურენციას, რომელსაც ადგილი აქვს მომხმარებელთა მიერ პროდუქტების შესყიდვის დროს და ამ კონკურენციის შედეგებით ადიდებს და ამცირებენ თავის პროდუქტების ფასებს. აქედან ცხადია, რომ ამ საქმის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ ბაზარზე შეთანხმებულათ გამოსვლის გზით. რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან მოგვდის ცნობები, რომ მუშაობის განგრძობა ამ პირობებში შეუძლებელია. ყოველ დღე გვიგზავნიან დეპეშებს არა მარტო სასურსათო კომიტეტები, არამედ რევკომებიც, რომლებიც ხედავენ თუ როგორ უარესდება ბაზარი.

ადგილებზე პროდუქტების მასიურ მასშტაბში შესყიდვას, ვისაც კი არ ეზარება ყველა აწარმოებს: სახალხო სასურსათო კომისარიატი, მიწათმოქმედების კომისარიატი, საქართველოს წითელი ლაშქარი, რუსეთის წითელი ლაშქარი, მთავარი სამხედრო საინჟინერო მართველობა, საგანგებო კომისია, კოოპერაცია და სხვ. ყველა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები მიდიან ადგილებზე, აღჭურვილნი სამართლიანი მანდატებით, რომლებზედაც ხელი უწერია, ვისაც კი განებავთ ყველას—„ძალა-უფლების მპყრობელთა" და იწყებენ დამოუკიდებლივ პროდუქტების შესყიდვას. ვინაიდან ისინი არ არიან ერთმანეთში შეთანხმებულნი, ამიტომ ბაზარზე მოქმედების საქმეში პირდაპირი ანარქია ხდება და ეს კი იწვევს ფასების გასაოცარ ზრდას. ამით სარგებლობენ მხოლოდ სოფლის „კულაკები". ღარიბი გლეხები კი, რომელსაც გასაყიდი პროდუქტი ძლიერ ცოტა აქვს, ხოლო მოთხოვნილებები კი ბევრი—იძულებულია ყოველ ნაირ პირობებში გაჰყიდოს თავისი საქონელი. „კულაკები" კი მშვენივრად უწყვენ ანგარიშს სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლების ანარქიულ გამოსვლებს; სარგებლობენ შექმნილ მდგომარეობით და სპეკულიაციას ეწევიან.

ყველაზე უფრო საშინელია ის გარემოება, რომ ადგილებზე გაჩნდნენ მოვაჭრე შუამავლები, საქონლის შემსყიდველები და გადამყიდველები და უმთავრესათ სწორედ ამათთან უხდებათ საქმის დაჭერა სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ყოველივე მათგანი ცდილობს მოატყუოს ერთი მხრით მწარმოებელი გლეხი, მეორე მხრივ კი—ხელისუფლების აგენტი. რასაკვირველია, ისინი არაფრის წინ არ შესდგებიან: აწყობენ სხვადასხვა კომბინაციებს, აძლევენ ქრთამებს და სხ. და სხ.

მთელი ეს „თამაში" მუშათა და ღარიბულ გლეხთა ხარჯზე სწარმოებს. ფასები ხელოვნურათ იზრდება, ბაზრის მდგომარეობა უარესდება, ფულების ფასიც ეცემა და ყოველივე ეს კი ხელსაყრელ პირობებს უქმნის სპეკულიაციას. დროა ამას ბოლო მოეღოს.

მაგრამ ამისათვის საჭიროა ადგილობრივ მხოლოდ ერთი აპარატის საშუალებით მოქმედება. ასეთ აპარატათ ყველას მიერ უნდა იქმნეს ცნობილი სახალხო სასურსათო კომისარიატი.

მიწათ-მოქმედების კომისარიატი უკვე დაადგა ამ გზას: სათესლე მასალა ეხლა სახალხო სასურსათო კომისარიატის საშუალებით მზადდება და არა მისი აგენტების შემწეობით, როგორც ეს წარსულში იყო. ამავე გზით უნდა წავიდნენ სხვა ორგანიზაციებიც.

არ არის არავითარი კონტაქტი ცენტრალურ ორგანოების შორის. ამით კიდევ უფრო მეტად მწვავდება მდგომარეობა. მაგალითად, დიდი ხანი არ არის, რაც სახალხო სასურსათო კომისარიატმა დასდო ხელშეკრულება ერთ პირთან მარილის შესახებ; მარილი მას უნდა მოეწოდებინა თბილისამდის მოტანით (ფრანკო) ფუთი 25,000 მანეთი, იმავე დროს საქართველოს არმიის სასურ. ორგანო ჰკრავს ვიღაცასთან პირობას და ყიდულობს მისგან მარილს ფუთს 41,000 მანეთად. განა ეს ანარქია არ არის? დასაშვებია თუ არა ეს?..

დაინტერესებულ უწყებათა შორის მჭიდრო კონტაქტის დამყარებას ხელს უშლის ერთი გარემოება, რომელსაც უსათუოთ უნდა მიექცეს ყურადღება. საქმე იმაშია, რომ ყველა უწყების აგენტები, რომლებიც ადგილებზე ამზადებენ პროდუქტებს ერთი და იმავე სდებენ ბრალს: ყველა ისინი „თავის უფროსებს" არწმუნებენ, რომ ის (სხვა აგენტი) ზრდის ფასებს და არა თვითონ ის. ლაშქრის სასურსათო საქართველოს აგენტები ლანძღავენ სახალხო სასურსათო კომისარიატის აგენტებს, უმტკიცებენ მათ, რომ ის სახალხო სასურსათო კომისარიატი ძვირათ ყიდულობს პროდუქტებს და ამიტომ საქმეც დამოუკიდებლათ მოქმედებენ. სახალხო სასურსათო კომისარიატის აგენტები სხვებს აბრალებენ ბაზრის მდგომარეობის გაუარესებას და ასე.

ცენტრალური ორგანოები ყველა ამ მოსაზრებებს ხალხს კომპრომენტებათა სთვლიან და ამაზე აგებენ თავის პოლიტიკას, რომელიც მეტათ ცუდათ მოქმედებს ბაზრის კონიუნქტურაზე. ძნელი არ არის გაგება, თუ რაში მდგომარეობს ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი აგენტები სცდილობენ შეინარჩუნონ ადგილებზე დამოუკიდებლათ მოქმედების წესი. მაგრამ ცენტრალური ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გონს მოვიდნენ და არსებული წესი არა ნორმალურათ აღიარონ.

სახალხო სასურსათო კომისარიატმა უკვე გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით ეკრძალება ყველა ორგანიზაციებს დამოუკიდებლათ და მასიურ მასშტაბში პროდუქტების შესყიდვა, თუ კი ამ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებს სახალხო სასურსათო კომისარიატის აპარატი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, თითქოს ლაშქრისათვის საჭირო დამზადებათა შესასყიდი ფულები და საქონელი უნდა მოგროვდეს თბილისში სახალხო სასურსათო კომისარიატის სალაროში, არამედ იმას რომ ადგილებზე პროდუქტების შემსყიდველებმა წინდაწინ უნდა იხმარონ სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებული და მასთან ერთად უნდა ისჯელონ შესყიდვის შესახებ. რწმუნებული კი ვალდებულია ამ მიზნისათვის აამუშაოს მთელი თავისი აპარატი. ეს შეამცირებს ცენტრალური ორგანიზაციების საერთო ხარჯებს, მოაწესრიგებს ბაზარს და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მოსპობს ორმაგ მოქმედებას ჩვენი აგენტების მხრივ. მაშინ მუშა-გლეხთა ინსპექცია უფრო ადვილად გაუწევს კონტროლს ამ საქმეს, რადგანაც აღარ იქნებიან ბევრი აგენტები, რომლებიც ეხლა კონტროლის მხედველობის გარეშე სდგანან.

ერქომაიშვილი.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ვისგან უნდა ველოდეთ დახმარებას.

სამი დასაბუთებული მოხსენება დამშეულთა დახმარების შესახებ, რომლებიც მოისმინა საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა, არა თუ იძლევიან მის სრულ სურათს თუ რა გაკეთებულა აქამდი ამ სფეროში არამედ გვაჩვენებენ კიდევ, შეუძლიათ თუ არა დამშეულებს იმედი ჰქონდეთ დახმარების გაგრძელების და სახელდობრ ვისგან უნდა მოველოდეთ ეს უკანასკნელი.

საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელიც ასე ბევრს ლაპარაკობს რუსეთის შიმშილზე, საქმით კმაყოფილდება მხოლოდ კერძო ქველმოქმედებით. საბჭოთა მთავრობა ცდილობდა რომ კაპიტალისტურ მთავრობებს მიეცათ მისთვის ფულები სესხის სახით, რომლითაც მას თითონ შეეძლო დამშეულებისათვის საჭირო პროდუქტები ეყიდა და არ მიემართა ვისიმე ქველმოქმედებისათვის. მაგრამ კაპიტალისტურმა მთავრობებმა არ მოინდომეს მიეცათ სესხი იმ შიშით, რომ ეს განამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას. ზედმეტად გამოაშკარავებულ უსინდისობით მათ განაცხადეს, რომ ისინი ამჯობინებენ ჩქარა იხოცონ ოცი მილიონი კაცი შიმშილისაგან სიკვდილით, ვიდრე შიმშილთან ბრძოლაში დაეხმარონ საბჭოთა მთავრობას. თითონ ბურჟუებს შორისაც მოინახა ასეთი კაცი, ბელგიის სენატორი ლაფონტენი, რომელმაც დაგმო დამშეულების ასეთი უსინდისო მოქცევა ხმამაღალი სიტყვით: კაცთმოძულეობა.

დამშეულ გლეხებს დაეხმარა, ეხმარება და დაეხმარება კიდევ მომავალში თავისივე ძმა—მუშა და გლეხი;

დამშეულ ადგილებში გლეხები გრძნობენ ამ დახმარებას, დანიშნული სათესლე თითქმის ზედმეტიც, დროზე მიიტანეს თავის ადგილზე. და განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელი იყო სესიის სხდომაზე ისეთი ცნობების გაგონება, როგორიც სარატოვის გუბერნიიდან და ვოლგის მხარის გერმანელების ოლქიდან, რომ ყველა გამოგზავნილი მარცვალი დათესილია და ნათესს კარგი პირი უჩანს.

რუსეთში მუშებისა და გლეხებისგან უკვე შეგროვილია 8 მილიარდ მანეთზე მეტი და 300 ათას ფუთამდე პური. ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალში ადგილების მუშებმა და გლეხებმა უნდა გააძლიერონ და გააძლიერებენ კიდევაც ისინი ამ დახმარებას ათჯერ და ასჯერ. მთავარი ძალ-ღონის მოხმარება დაგვჭირდება კიდევ მომავალში. უნდა გამოვკვებოთ ხალხი მილიონობით ახალ მოსავალამდი, ე. ი. ნახევარი წლის განმავლობაში (და კიდევ მივაწოდოთ თესლი გაზაფხულზე დასათესათ.)

ეს ამოცანა გარკვეულათ არის წამოყენებული სესიის სხდომაზე ამხ. ვინოკუროვის სიტყვაში:

თვითეული ათეული მაძღარი მოქალაქე ვალდებულია მიიყვანოს თავის მუდმივ ხაურ მზრუნველობაზე ერთი მშიერი.

შემთხვევით შემოწირულების ერთდროულ დახმარებიდან ჩვენ უნდა გადავიდეთ დახმარების მუდმივ რეგულიარულ ორგანიზაციაზე შიმშილზე ხაურ გამარჯვებამდე.

ამ დაუყოვნებელ ამოცანის განხორციელებას უნდა შეუდგეს ყველა საბჭოთა ხელისუფლება ფართო მშრომელი მასების დახმარებით, და ისინი გაიტანენ თავისას.

დახმარების მეორე ძლიერი წყალი და წყარო საზღვარ-გარეთიდან, მაგრამ ბურჟუაზიისაგან კი არა, არამედ მუშებისაგან. ამ დახმარებას აწყობს კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი მოძმე საერთაშორისო წითელ პროფკავშირების კავშირი. მთელ ქვეყანაზე პროლეტარები გადადებენ ერთი დღის ნამუშევარს დამშეულების სასარგებლოთ. მთელ ქვეყანაზე ოქტომბერში მოწყობილი იქნება დამშეულებისათვის დახმარების კვირეული. და ბოლოს, მთელ ქვეყანაზე დიდი რევოლიუციის 4 წლის თავი, 7 ნოემბერი უნდა შეიქნეს დამშეულ რუსის გლეხების გაძლიერებულ დახმარების დღეთ.

ყველა ქვეყნის ეს ძმური დახმარება გაგვიწევს ჩვენ დიდ სარგებლობას. ... წვრილმა ფულის აქციამ პროლეტარულ გროშებიდან მოგვცა საერთო ჯამით 4 მილიონი ოქროს მანეთი. ვცადოთ სანიმუშოთ იმის გამოანგარიშება, თუ რა შეუძლია მოგვცეს ყველა ქვეყნების მუშათა თუნდაც ერთი დღის ნამუშევრის გადარიცხვამ.

ამერიკაში მუშები 30 მილიონამდეა და საშუალო დღის ქირა დღეში (ოქროთი) 5 მან. გერმანიაში მუშები შეადგენს დაახლოვებით 21 მილიონს საშუალო ყოველ დღიურ ნამუშევრით 1 მან. ინგლისში მუშები 16 მილიონამდეა—ქირა 4 მან. საფრანგეთში 11 მილიონი მუშა, ქირა 2 მან. იტალიაში 6 მილიონი მუშა—ქირა 1 მან. ავსტრიაში მილიონ ნახევარი მუშა—ქირა 50 კაპეიკი და სხვ. სულ ყველა ქვეყნებში (რუსეთის გარდა) უნდა ჩავთვალოთ დაახლოვებით 100 მილიონი მუშა და მათი ერთი დღის სამუშაო ქირა შეადგენს ორას მილიონ ოქროს მანეთს.

ის მხურვალე სიყვარული და თანაგრძნობა, რომელსაც არა ერთხელ იჩენდნენ საქმით საზღვარ გარეთული მუშები საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ, იმის თავდებია, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ განზრახული დახმარების დღის მოწყობა, სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ჩვენ მტრებს იმედი ჰქონდათ, რომ შიმშილი დაასუსტებს, დაღუპავს საბჭოთა რუსეთს, პირველ სოციალისტურ რესპუბლიკას, საერთაშორისო მუშათა რევოლიუციის მოწინავე რაზმს. ნამდვილათ კი შიმშილს მივყავართ იქითკენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება კიდევ უფრო მტკიცდება, როგორც გლეხების ერთად ერთი მშველელი და კიდევ უფრო ძლიერდება ძმური კავშირი რუსეთისა და ყველა ქვეყნების მშრომელ მასებს შორის.

ვ. კარპინსკი.

„ბედნოტა".

წითელ რესპუბლიკებში

აზერბეიჯანი

შეთქმულების აღმოჩენა აზერბეიჯანში

მოსკოვი, 25 ოქტ. (რადიო) ბაქოში განსაკუთრებულ კომისიამ აღმოაჩინა და ლიკვიდაცია მოახდინა დიდი კონტრ-რევოლიუციონური არალეგალური ორგანიზაციის სახელად „ისლამის დამცველი აზერბეიჯანის პარტია". ეს პარტია და 1920 წელში დანგრეულ პარტიის „ერთობა და პროგრესის" ნანგრევებზე, ახლათ შემდგარ პარტიის მიზანი იყო მუსულმანურ მცხოვრებლების გაერთიანება ისლამის დროშის ქვეშ. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების გზით პარტიას უნდოდა დაემყარებია აზერბეიჯანში ნაციონალურ-ბურჟუაზიული მთავრობა. აზერბეიჯანის განსაკუთრებულმა კომისიამ შეამჩნია ეს ორგანიზაცია და თავის დროზე თავიდან აიცილა აჯანყება. მეთაურებმა და ხელმძღვანელებმა მიიღეს ღირსეული სასჯელი.

რუსეთი

საბჭოთა რუსეთის მთავრობის პროტესტი ბერძნების სისხლის წინააღმდეგ ოსმალეთში

მოსკოვი, 25 ოქტ. (რადიო) საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარიატმა 22 ოქტომბერს მიმართა ნოტით ყველა მთავრობებს, რომელშიდაც ყურადღება ექცევა იმას, რომ ოსმალეთში შემოჭრილი ბერძნების ჯარები უკან დახევის შემდეგ სრულიად ანადგურებენ ვებერთელა მიდამო ადგილებს. ბერძნების ჯარების სიმხეცე აქ დიდიან ცხოვრებლებზე აღწერილია. რუსეთის მთავრობა მიმართავს მთავრობებს წინადადებით, რომ მიიღონ ზომები ოსმალეთში ბერძნების ჯარების მოქმედების წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინდოეთი.

„მოპლას" აჯანყება მალაბარში.

ინდოეთში, მალაბარის პროვინციაში მოძრავი „მოპლა"-ს სისხლიანი აჯანყება ერთი მნიშვნელოვანი მთელ ინდოეთში მომხდარ ამ საერთო უკმაყოფილების, რომელიც გამოიხატებოდა მას მუშების გაფიცვებში, მას აგრარულ მოძრაობაში, მას კი ინგლისურ მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ ბოიკოტში. „მოპლა"ს აჯანყებაში [illegible] ელემენტები.

„მოპლას" ტომი წარმოადგენს მოსახლეობის კულტურულ ნაწილს და მათი საერთო რიცხვი შეადგენს 1 მილ. და 2 მილიონ სულს.

პირველათ მოძრაობას ჰქონდა წმინდა პოლიტიკური ხასიათი და ის [illegible] ინდოელის [illegible].

„მოპლას" გლეხური მოსახლეობა—მუსულმანები; ადგილობრივი მემამულეები და მიწის მფლობელები კი უმეტესად—ინდოელები. გლეხებმა [illegible] თავის [illegible] და მთელ ოლქში გაანადგურეს მემამულეების სახლები და მამულები. ზოგიერთ ადგილებში, გაზეთის სიტყვით, დასწვეს სახლები,—ეს იმას ნიშნავს, რომ დაზარალდნენ ადგილობრივი ინდოელი სატრაპები.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ აჯანყებულები ყველგან წვავდნენ მთავრობის დოკუმენტებს და აგრეთვე სავაჭრო არხივებს, რომლებსაც ისინი პოულობდენ მემამულეების სასახლეებში.

მოძრაობის რელიგიური ხასიათი გამოიხატებოდა აგრეთვე იმაში, რომ აჯანყებულები ატარებდნენ წინასწარმეტყველის მწვანე დროშას და გამოდიოდნენ ხალიფატის ლოზუნგებით.

„Mornind Post"-ი ამბობს: „რკინის გზის დამტვრევა აჯანყებულთა მოძრაობის ისტორიაში წარმოადგენს ახალ ფაზას. აქამდი ფანატიკოსების გამოსვლა უმეტესათ გამოიხატებოდა უბრალო მემამულეების მკვლელობაში და ინდოელების სალოცავების წაბილწვაში. ეხლა კი, მთავარი სამფლობელო კანტორები ყველგან გაძარცვულია, ხიდები მოჭრილი, [illegible] გზების და რკინის გზის ხაზების გასაკვლევლათ; ხიდები და რკინის გზები დანგრეულია, სადგურები და სახაზინო დაწესებულებები გადამწვარი, ყველა ქალაქები მოსპობილია".

ჯუნგლებით მოძრაობა სისხლში ჩაახრჩვეს ისეთი სისასტიკით, როგორიც ეს მხოლოდ ინგლისელებს შეუძლიათ ჩაიდინონ. ჯარებთან შეტაკების დროს „მოპლა" კარგავდა რამოდენიმე ასეულ კაცს. „იმპერიის სხვა ნაწილებში,—ამბობს „Daieb Tejeprahy",—ეს საკმარისი იქნებოდა, რომ შეეჩერებინა ამბოხებულ ბრბოს ცეცხლი. მაგრამ „მოპლა" შესდგება აჩუყი ფანატიკოსებისაგან, რომლებიც თუ [illegible] ხელთ იარაღს, იბრძვიან უკანასკნელი სისხლის წვეთამდი და არასოდეს მტერს არ ნებდებიან, რადგანაც ეს მათ ტრადიციის ეწინააღმდეგება".

ხელჩართული ბრძოლა ზოგიერთ ადგილებში გრძელდებოდა რამოდენიმე საათი. ტირუნგადის ახლო 8000 კაცისაგან შემდგარ „მოპლას" რაზმის ერთი ბრძოლას, „Temec" იგონებს, როგორც საშინელ ბრძოლას. ინგლისელებმა მიმართეს ტყვიის მფრქვეველებს, ზარბაზნებს და ბომბებს. ადგილობრივი მცხოვრებლები კი უკანასკნელ გეგმის მიხედვით აწყობდენ ბრძოლებს, რომლების ადგილაც ინგლისელ ჯარებს უხდებოდათ დიდი იარაღების შემდეგ.

„ზოგიერთ ადგილებში „მოპლა"დან რამოდენიმეჯერ იყვნენ დაჭრილი, რადგანაც ისინი არ უშინდებოდენ სიკვდილს. აჯანყებულები დიდ ხანს იბრძოდენ, სანამ თავს დამარცხებულათ ჩასთვლიდნენ. საქმე ხიშტებამდი მივიდა, მაგრამ „მოპლა" ხიშტით მძიმეთ დაჭრილებიც კი, განაგრძობდენ ბრძოლას და ცდილობდენ ჩაეცათ თავის დანა მოწინააღმდეგისათვის".

„თითოეული ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც გამოიხატებოდა გაძარცვაში, რელსების აყრაში და სხვა, ტყვეთ წაყვანილი რამოდენიმე „მოპლას" გადაუწყვიტეს 2 წლით მკაცრ რეჟიმით დაპატიმრება. ასეთი შეუბრალებელი განაჩენი, უეჭველათ, გამოიწვევს შემდეგ ამღელვებას და გააძლიერებს კონფლიქტს".

მეტად სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ ინგლისელები აჯანყებაში სიპაების აქტიურ მონაწილეობას, რომლებიც წინათ პოლიციელებათ მსახურობდნენ [illegible].

„Exhanye Telegraph"-ი ამბობს, რომ სიპაები თამამად აცხადებენ „აჯანყება დიდ როლს" და თუ [illegible] შეიძლება მიმართოთ იარაღით და ყუმბარებით, რომ ისინი [illegible].

„Daily Telegraph"-ი ამტკიცებს აგრეთვე, რომ [illegible] და საერთოდ ისინი ხელმძღვანელობენ [illegible] როგორც ინსტრუქტორები.

ინგლისურ პრესამ [illegible] ამ მოძრაობას და [illegible] ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ [illegible] აგიტაცია [illegible]. [illegible] ისტორიული [illegible] ჩვენ, რომ „მოპლას" აჯანყებები ერთი-მეორეს მოსდევდა დაწყებული 1852 წლიდან, და შემდეგაც 1873, 1885, 1894 და 1896 წლებში, თუმცა წინათ ასე ძლიერი არასოდეს არ ყოფილა. ლორდ რედინგმა თავის სიტყვაში საკანონმდებლო კრების წინ [illegible] აჯანყების კერა.

კონსერვატიული „Daily Telegraph"-ი პირდაპირ ამბობს, რომ [illegible] მალაბარის აჯანყებამდი უკვე ეცნობოდა ყველა საშიში ნიშნები და მხოლოდ [illegible], რომ ცეცხლი გაჩაღებულიყო. ინდოეთში საერთოდ [illegible] როგორც პოლიტიკური და სოციალური, ისე ტერიტორიული ხასიათის და ამიტომ მომავალში მშვიდობიან მდგომარეობაზე ფიქრი სძნელი იყო.

აჯანყება ჩაქრობილია, მაგრამ მისი გამომწვევი პირობები დარჩნენ. [illegible] ლორდ ვილინგდონს, რომ ამგვარივე „მოპლას" აჯანყება კიდევ მალე მოსალოდნელი იმპერიის სხვა ნაწილშიც. ინგლისის [illegible] ეს დახასიათებული გულახდილი [illegible], რომ [illegible] ინდოეთის [illegible] მდგომარეობაზე".

ამერიკა.

ამერიკელი რკინის გზელები

მოსკოვი 25 ოქტომბერი (რადიო) ჩიკაგოს ცნობით ამერიკელ რკინის გზელების ლიდერებთან მოლაპარაკება უნაყოფოდ ჩათავდა. გაფიცვა თანდათან ძლიერდება.

ბალტიის მხარე

ბალტიის მხარის კონფერენცია.

მოსკოვი 25 ოქტომბერი (რადიო) ბალტიის მხარის სახელმწიფოების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უარყოფს ყოველგვარ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის წინააღმდეგ და თხოულობს კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარებას რუსეთთან. სახელმწიფოებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ კონფერენციაში, დაადგინეს ხელი შეუშალონ განზრახულ ბალტიის მხრის სახელმწიფოების სამხედრო კავშირს პოლონეთთან.

პოლონეთი

კომუნიზმი პოლონეთში

მოსკოვი 27 ოქტომბერი (რადიო) პოლონეთში კომუნიზმი გახდა მუშათა მასიური მოძრაობა. გაზეთები ითხოვენ მთავრობიდან კანონების გაძლიერებას კომუნიზმის წინააღმდეგ.

პოლონეთი

კომუნიზმის გამარჯვება

მოსკოვი, 25 ოქტომბერი (რადიო) „განეც კრაკოვსკი" აღნიშნავს რა მთელ რიგ კომუნისტურ ორგანიზაციების აღმოჩენას ვარშავაში, კრაკოვში, ლოძში და პომერანიაში, ამბობს, რომ კომუნისტები პოლონეთში იჩენენ გაცხოველებულ მოქმედებას, რაც მოწმობს კომუნისტურ ახალ შეტევის დაწყებას, რომელიც მზადდება შიგ პოლონეთში. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონელ სოციალისტების პარტიის წინააღმდეგ კომუნისტების მოქმედება, რომელიც ცდილობს ნიადაგი გამოაცალოს მათ ფეხქვეშ მუშურ მასებში, თანდათან დიდი წარმატებით ვითარდება.

ინგლისი

იარაღდებიან

მოსკოვი, 25 ოქტომბერი (რადიო) ლოიდ ჯორჯმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ პროგრამაში აღნიშნულ 4 დიდი სამხედრო გემის აშენებას მალე დაიწყებენ.

ვის წინააღმდეგ

მოსკოვი, 25 ოქტომბერი (რადიო) ვაჭრობის მინისტრმა, მუშათა პარტიის წევრის მაიერსის შეკითხვაზე, განაცხადა, რომ 1920 წლის განმავლობაში რუმინეთში გააგზავნა ინგლისმა 45 მილიონი თოფის პატრონი.

საფრანგეთი

საფრანგეთის ვალი

მოსკოვი, 25 ოქტომბერი (რადიო) საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს საერთო სმეტით 1922 წ. საფრანგეთის შინაური ვალი შეადგენს 249 მილიარდ ფრანკს, საგარეო კი 35 მილიონ ფრანკს. აქედან ინგლისს ეკუთვნის 13 მილიარდი და ამერიკას 15 მილიარდი ფრანკი.

ბელგია

ისინიც სოციალისტებია

მოსკოვი 25 ოქტომბერი (რადიო). გაზ. „ჟურნალ-დე პარი"-ს ცნობით ბელგიის მეფემ არ მიიღო „სოციალისტ" მინისტრების გადადგომა.

უნგრეთი

მონარქისტული ავანტიურა უნგრეთში

მოსკოვი, 23 ოქტომბერი (რადიო) მიუხედავად იმისა, რომ ხორტის, პარიზის და [illegible] მომხრეების ძალები [illegible] მომხრეების რიცხვი, უკანასკნელების დაჭერილი აქვთ [illegible] და ბუდაპეშტის შემოსავალი გზების უმრავლესობა. პარიზის რაზმი დაიწყებს სამოქალაქო ომს თუ უკან დაიხევს, დამოკიდებულია ხორტიზე. კარლოსმა მოახდინა მისი ერთგული [illegible] პოლკოვნიკ [illegible] და პოლკოვნიკ [illegible] ნაწილები, რომლებიც [illegible] იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ამ წლის გაზაფხულზე კარლოსმა მოახდინა სენსაციური გამოსვლა და მიიღო [illegible] მთავრობის პროტესტის გამო, რომელმაც არ მიიღო [illegible] კაბინეტში შეიყვანა [illegible] და სხვები, საერთოდ განწყობილება ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ისეთია, რომ ცენტრალური ევროპა ახალ კრიზისის გადასაწყვეტის წინაშე სდგას. [illegible] ავსტრიისაგან [illegible], რაც პირველი [illegible] კაპიტალისათვის.

უნგრეთის ამბები

ნაუენი, 25 ოქტომბერი (რადიო). ყოფილი უნგრეთის მეფე კარლოსი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც შვეიცარიიდან [illegible], ხელ ახლა შეეცადა აღედგინა უნგრეთის ტახტი, შვეიცარიიდან ის აეროპლანით მოფრინდა, საიდანაც [illegible] ბუდაპეშტისაკენ. [illegible] კარლოსი [illegible] ხორტის რესპუბლიკანურ ჯარებს, რომლებიც [illegible] უნგრეთის [illegible]. ხორტი [illegible] და [illegible] ჯარები [illegible].

ამხ. ლავრენტი აჯამიძე

თიანეთის მაზრის ყაჩაღებმა ვერაგულად მოკლეს და უთავისოდ დატოვეს [illegible] ამხ. ლავრენტი აჯამიძე. კომუნისტურ პარტიას კიდევ გამოაკლდა ერთი საუკეთესო რევოლიუციონერი, ენერგიით აღსავსე პარტიული მუშაკი. ამხ. ლავრენტიმ არ იცოდა თუ რა იყო დროის გატარება, მოსვენება, მის დაუღალავ ენერგიას ვერ [illegible]. მას ვერ აშინებდა [illegible], ის ერთ-ერთი საუკეთესო და დაუღალავი უშიშარი რაინდი იყო პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების. ამხ. მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მას ეჭირა საკმაო საპასუხისმგებლო ადგილი.

დიდიხან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა ამხ. მუშაობდა საქართველოში.

ღებულობდა პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში უახლოეს აქტიურ მონაწილეობას.

ამხ. ლავრენტი იყო დუშეთის მაზრის რევკომის წევრი და თავმჯდომარის მოადგილე. ამ პარტიაში მან საკმაო ხანი დაჰყო და უდიდესი სახელი ავტორიტეტი დაიმსახურა მუშა-გლეხურ მასსებში. დუშეთიდან ამხ. გადაყვანილ იქმნა თიანეთში მაზ.-რევკომის თავმჯდომარის მოადგილედ. ამხ. ლავრენტი წინ და წინ იცნობდა თიანეთის მაზრას თუ რას წარმოადგენდა ის. ის შეუდგა იქ ენერგიულ და დაუღალავ მუშაობას, მაგრამ ხალხის მტრები თიანეთის მაზრის ავანტიურისტები დარწმუნდნენ რა რომ ამხ. ლავრენტი არის უშიშარი რაინდი საბჭოთა ხელისუფლებისა, არ დაინდეს მას, გადაწყვიტეს [illegible] ის მოსპონ [illegible], რომლებიც გამოცემულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ. [illegible] და ლაცაბიძე [illegible] და ამ მოსყიდულებმა ყაჩაღურად მოჰკლეს ის, გაიტაცეს [illegible]. ([illegible] უკვე შეპყრობილია და მოთავსებული თიანეთის მაზრის ჩეკის საპატიმროში).

ამხ. ლავრენტის არ დასცალდა თიანეთის მაზრაში განევითარებია თავისი ენერგია ისე მოსწყდა სიცოცხლეს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ამხ. დაუღალავი რევოლიუციონერი იყო. ასეთი რევოლიუციონერების სიკვდილი მუშათა კლასმა ბევრი გადაიტანა ამ ოთხი წლის განმავლობაში [illegible] ბრძოლის დროს. ჩვენ კიდევ ბევრი მსხვერპლი მოგველის, მაგრამ მუშათა კლასის არც ერთი მეთაური ასეთი მსხვერპლის წინ არ შედრკება და არ ბილავს იარაღზე ხელს, პირიქით განსაკუთრებული ენერგიით აწარმოებს ბრძოლას, სანამ არ აღმოიფხვრება ბანდიტიზმი—კონტრრევოლიუცია და არ ჩაიყრება მტკიცე და ურყევი საძირკველი კომუნიზმის.

მშვიდობით ამხ. ლავრენტი, შენ დაუღალავ ბრძოლას დააფასებს გამარჯვებული მუშათა კლასი.

ხაზურაული მიხაკო.

ქრონიკა

◆ **სახალხო სასურსათო კომისარიატში.** სასურსათო კომისარი ამხ. ალექსანდრე ერქომაიშვილი ღებულობს დაწესებულებათა წარმომადგენლებს და კერძო პირებს დილის 12 საათამდე.

— 29 ოქტომბერს სასურსათო სახალხო კომისარიატმა გაგზავნა უკრაინაში თავისი რწმუნებული 70 დამტვირთავი მუშებით უკვე ცენტრიდან მოცემულ 150,000 ფუთი ფქვილის მისაღებათ.

— 18 ოქტომბერს სასურსათო კომისარიატის სათემო სარეწველოში ქ. ბაქოში სამსახურის საქმეების გამო გაემგზავრა სასურსათო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ამირაღოვი.

◆ **უმაღლესი საზეითო განათლება.** სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის პროფესორთა კრებამ პრინციპიალურად გამოსთქვა აზრი ფაკულტეტთან საზეითო განყოფილების გახსნის შესახებ, რომლის გახსნა განზრახულია ამავე აკადემიურ წელს. განსაკუთრებით აჩქარებს საზეითო განყოფილების გახსნას მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი.

— **საზეითო ჟურნალი.** მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საზეითო განყოფილებას განზრახული აქვს საკუთარი ბეჭვდის ორგანო.

◆ **გორის აღდგენისათვის.** შინაგან სახალხო კომისარიატთან არსებულ კომუნალურ მთავარ მმართველობის ინიციატივით შესდგა ორი სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა 1920 წლის მიწის ძვრით დაზარალებულ გორის აღდგენის საკითხი, კრებას დაესწრნენ მმართველობის განყოფილებათა გამგები და სპეციალისტები, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელნი, ს. მ. უ. ს. (კომგოსორის და სხვა ორგანიზაციათა), ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის, გორის კომუნალურ მეურნეობის და სახლის პატრონების წარმომადგენლები. პირველ სხდომაზე განიხილეს ქალაქის დაგეგმვის საკითხი, რომელიც მის აღდგენასთან არის დაკავშირებული, აგრეთვე პროექტის განმარტებელი ბარათი, გორის კომუნალურ მეურნეობის მიერ შედგენილი და მთავარ კომუნალურ მმართველობის დასკვნანი. პროექტის მიხედვით ქალაქის დასასახლებელი სივრცე საგრძნობლათ გაფართოვებული და გეოლოგიურ გამოკვლევათა მიხედვით ქუჩების მიმართულება შეცვლილია. ამ პროექტით ქალაქის გეგმის სისრულეში მოყვანა განზრახულია 50 წლის განმავლობაში. პროექტი მოწონებული იქნა, მეორე სხდომაზე გაირჩა გორის აღდგენასთან დაკავშირებული მიწის საკითხი. ამ საკითხის შესახებ ჯერ კიდევ მენშევიკების მიერ იყო გამოცემული დეკრეტი კერძო მესაკუთრეების მიწებიდან მიწის ფონდის შექმნის შესახებ, იმ მიზნით, რომ აქედან დაერიგებიათ შემდეგ სამოსახლო ნაკვეთები, საერთო სივრცით 400 ოთხ. კუთ. საჟენი. ფონდის შექმნის ძირითადი მიზანი იყო გადასახლებით გორის მცხოვრებნი საშიშ ადგილებიდან უფრო უშიშარზე მიწის ძვრის მხრივ. კერძო მემამულეთაგან მიწის ჩამორთმევის მუშაობა დამთავრებულია, მიწა გაყოფილია სამოსახლო ნაკვეთებათ და გადაღებულია გეგმა. ამისათვის საჭიროა სპეციალური დეკრეტის გამოცემა, რომლის პროექტიც გამომუშავებულია მთავარ კომუნალურ მმართველობის მიერ. პროექტის მიხედვით მენშევიკების მიერ გამოცემული დეკრეტი ბათილდება, მაგრამ ამ დეკრეტის თანახმად უკვე შესრულებული მუშაობა მტკიცდება: ქალაქის მთელი მიწის სივრცე გადადის მუნიციპალიტეტის ხელში ქალაქის მოწყობის გეგმის საჩქაროთ განსახორციელებლათ. ახალი დეკრეტის პროექტს გათვალისწინებული აქვს მიწის ფონდის განმანაწილებელი საგანგებო კომისიის შექმნა, ამასთანავე სამოსახლო მიწის ნაკვეთები რჩება ძველ პატრონების სარგებლობაში საიჯარო პირობებით. ყველა გამოყოფილი მიწები შეადგენენ მიწის ფონდს, რომელიც იყოფება სამოსახლო ნაკვეთებათ. კრებამ გამოსთქვა სურვილი დეკრეტის ჩქა-

რა გამოცემის შესახებ, ამასთანავე გამოითქვა აზრი ქალაქ გორის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენების აუცილებლობის შესახებ, სახლების აშენებისათვის სხვადასხვა შეღავათის აღიარებით, როგორც არის საგადასახადო: სახელმწიფოს მიერ დახმარება მოიჯარადრეებს, რომელთაც სურთ ააშენონ სახლები, ბინაზე დიდი ქირის დადება და სხვ. შენობის ტიპი საკითხი არ განუხილავთ, რადგანაც ეს ტიპი უკვე გამომუშავებულია სპეციალისტთა საგანგებო კომისიის მიერ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა კრება

(მეორე დღე 28 ოქტომბერს 1921 წ.)

დილის სხდომა.

თავმჯდომარე, სახალხო კომისარი ამხ. [illegible], ხსნის კრებას დილის 11 საათზე და აცხადებს, რომ დღევანდელ კრებას უნდა დასწრებოდა კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი მოხსენებით მიმდინარე მომენტზე, მაგრამ [illegible] მოხსენების თბილისიდან წასვლის გამო ეს მოხსენება შემდეგ იქნება მოსმენილი.

კრება გადადის მოხსენებებზე ადგილებიდან; მიღებულია წესი, რომ მოხსენებები დაიწყოს მსხვილი ცენტრების წარმომადგენლებიდან და შემდეგ მათ მიჰყვეს პროვინციების წარმომადგენლები.

მოხსენებებს აკეთებენ: ქალ. თბილისის და მისი მაზრის ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. [illegible], ქუთაისის გამგე ამხ. მანჯგალაძე და ფოთის [illegible], ბათუმის—ფოთის [illegible] ამხ. [illegible], გორის—გამგე ამხ. [illegible] და ოზურგეთის—გამგე ამხ. [illegible].

მოხსენებელნი ლაპარაკობენ ინსპექციის მუშაობაზე, მათ მიერ გაწეულ საქმეზე და თითქმის ერთხმად აღნიშნავენ იმ პირობებს, რომლებიც ხელს უშლიან ინსპექციას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ასეთ პირობებათ ასახელებენ შემდეგს: 1. იმ გარემოებას, რომ პროფესიონალურმა კავშირმა და საერთოდ მუშათა ორგანიზაციებმა ვერ გამოჰყვეს მუშები ინსპექციებში სამუშაოთ; [illegible] აღნიშნული, რომ უმეტესათ ინსპექციების მუშაობაში [illegible]; ეს აზრი ყველას [illegible] და [illegible] პროფკავშირებს მუშების, მაგრამ [illegible]; 2. გამოირკვა, რომ დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან ადგილობრივ ინსპექციებს და სამაზრო რევკომებს: ამ ნიადაგზე ხშირია არა სასურველი გაუგებრობა, რაც აფერხებს საერთო ერთსულოვან მუშაობას; 3. საერთო ეკონომიური კრიზისი და განსაკუთრებით ინსპექციების თანამშრომელთა [illegible] მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის მათ პირნათლად შეასრულონ თავისი მოვალეობა.

საღამოს სხდომა.

სხდომა იხსნება საღამოს 4 საათზე. გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებებს აკეთებენ: შორაპნის ინსპექციის გამგე ამხ. [illegible], სენაკის გამგე ამხ. [illegible], ზუგდიდის გამგე ამხ. [illegible], ბორჩალოს გამგე ამხ. [illegible], ახალციხის [illegible] ზ. [illegible], დუშეთის გამგე ამხ. [illegible] და ლეჩხუმის გამგე ამხ. [illegible].

ყველა მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმავე დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლის ინსპექციების მუშაობას და რომლებიც სითონ იყვნენ დასურათებული დილის სხდომაზე.

პარტიული ცხოვრება

ხუნწის თემი (სამეგრელო).

29 სექტემბერს გაიმართა ხუნწის თემში ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებულის და სამაზრო პარტიის გამგეობის კომისიის წევრი ამხ. ლადო ქავთარაძე, სამაზრო ინსტრუქტორი ამხ. ალექსანდრე ჯოჯუა და მარტვილის რაიონის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. იაკობ [illegible]. კრებას დაესწრო პარტიის წევრები სრულად. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. თ. [illegible], მდივნად იაკობ [illegible]. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) პარტიის გაწმენდის შესახებ, 2) ნატურალური გადასახადი, 3) დამშეულთა დახმარების შესახებ, 4) პოლიტიკური [illegible] გაგზავნა, 5) რევკომის შესახებ. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ლადო ქავთარაძე. ის ეხება კომუნისტური პარტიის მნიშვნელობას დღევანდელ მომენტში, მის გაწმენდის საჭიროებას დღეს განსაკუთრებით.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ალექსანდრე ჯოჯუა, რომელიც განმარტავს სასურსათო გადასახადის მნიშვნელობას საბჭოთა რესპუბლიკის განამტკიცებლათ. დამშეულთა დახმარების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. შონია, რომელიც განმარტავს ვოლგის მხარის აუტანელ მდგომარეობას შიმშილის გამო, რის შემდეგ კრება ადგენს დაეხმაროს თვითეული პარტიის წევრი და კანდიდატი დამშეულებს თითო ფუთი სიმინდით. მეოთხე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. შონია, რის შემდეგ არჩეული იქნა ორი ამხანაგი სამაზრო მილიციაში. რევკომის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხ. და განმარტავს თუ რა მნიშვნელობა აქვს რევკომს საბჭოთა რესპუბლიკის გამაგრების საქმეში. კრება აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ცნობს რევკომის მუშაობას დამაკმაყოფილებლად და ადგენს დარჩეს რევკომის ძველი შემადგენლობა უცვლელათ. კრება კმაყოფილი დაიშალა.

[illegible] ხუნწელი.

—

ქალ. სამტრედია. ხუთშაბათს 6 ოქტომბერს შედგა ჩვეულებრივი კრება ქალ. პარტორგანიზაციისა თავმჯდომარეობს ამხ. [illegible], მდ. ს. [illegible]. დღიური წესრიგი: 1) ამხ. ვალ. გუგუშიძის მოხსენება, 2) ამხ. ამ. ჩიტაის განცხადება, 3) მიმდინარე კითხვები.

ვრცელი მოხსენება გააკეთა კითხვაზე, საერთაშორისო პროლეტარიატი და კომუნისტური პარტია ამხ. ვალ. გუგუშიძემ, რომელიც შეეხო რუსეთის რევოლუციას და პროლეტარიატის თავგამოდებულ ბრძოლას თავისუფლებისათვის, შეეხო მე-3 ინტერნაციონალის დაარსებას, უძლეველ დისციპლინით შეკრულ წითელ ჯარის შექმნას. ბოლოს გადავიდა თანამედროვე მომენტზე, და განმარტა ახალი ეკონომიური პოლიტიკა; მოხსენება დიდი ინტერესით იყო მოსმენილი ამხანაგების მიერ და დიდი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს, ამხ. სპ. [illegible], [illegible], 3ირ. შენგელიამ, შალ. [illegible] და სხვებმა. საერთოთ ამხანაგებმა დიდი სიცოცხლე და საქმის ცოდნა გამოიჩინეს. ასეთი საქმიანი კრება ჩვენ პირველათ გვქონდა. საჭიროა კი ხშირათ ასეთი კრებები. შემდეგ—გაარჩიეს სხვა კითხვები და კრებაც დაიშალა.

ხან-კანი.

ნარკომებით პროფკავშირებში

ამით თბილისის რკინის გზელთა რაიონ. პროფკავშირებში კულტურულ განათლების განყოფილება აცხადებს რკინის გზელთა ოჯახების საყურადღებოთ, რომ 7 ნოემბრისათვის განზრახულია გახსნა, ბავშვთა თავშესაფარის, რომელშიაც იქნებიან მოთავსებული რკინის გზელთა ობოლი ბავშვები. ყველა ასეთების პატრონებმა თავშესაფარში ბავშვების ჩასაწერათ მიმართონ თავისთ დარგებს, სადაც ობლების მამები ან დედები მსახურებდნენ. ყველა დარგებმა ასეთი სიები წარმოადგინონ 3 ნოემბრისათვის თბილისის რკპროფსოჟის კულტურა განათლების განყოფილებაში დასამტკიცებლად.

კულტურ—განათლებ. განყოფილება.

ს. შ. ქ. ს. აღმასრულებელ კომიტეტში.

შრომის დაცვის განყოფილება. შრომის დაცვის განყოფილება შრომის ს. კომისარიატიდან, მოეწყო აპრილის პირველ რიცხვებში, განყოფილებასთან მოეწყო ქვე-განყოფილებანი: ა) სოციალურ დაზღვევისა და ბ) კულტურულ განმანათლებელი. მუშაობა განყოფილებაში სწარმოებდა კოლექტიურად. ზემოთ აღნიშნულ ხნის განმავლობაში კოლეგიას ჰქონდა 21 სხდომა, 9 შრომის ინსპექტორების, ტექნიკოსისა და სანიტარების საერთო კრება. 3 შრომის დაცვის მუშაკების და წარმოებითი კავშირების პლენარული სხდომები, 6 სხდომა სხვა უწყებათა წარმომადგენლების დასწრებით.

სულ 39 სხდომაზე განხილული იქნა 260 საკითხი, რომელთა შორის საორგანიზაციო 56, წარმოების გამორკვევის შესახებ 29, 22 სოციალურ დაზღვევისა, 38 მცირე წლოვანთა შრომის დაცვის 6, ქალთა შრომის დაცვის 5, დასასვენებელ სახლების მოწყობისა 7, სავაჭროებში შრომის განსაზღვრისა 15, შრომის დაცვის კანონების დარღვევის 18, შრომის ინსპექტორების და განყოფილებათა მოქმედების შესახებ და კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის—34.

თავის მუშაობის პირველ დღიდანვე შრომის დაცვის განყოფილებამ მთავარი ყურადღება მიაქცია არსებულ მუშათა კანონმდებლობის გაფართოებას შრომის დაცვის სფეროში, სოციალურ დაზღვევას. შრომის ინსპექციის მოწყობას და სოციალურ მეთვალყურეობას. მუშათა კანონმდებლობის გაფართოების სფეროში განყოფილების მიერ გაკეთებულია შემდეგი:

1) სამუშაო დროის მოწესრიგების სფეროში: ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებული შრომის ნორმის კანონი არ განასხვავებდა ღამის სამუშევრის დღის სამუშევრისგან და ორივესთვის დაწესებული იყო 8 საათის სამუშაო, საჭირო შეიქნა კანონის გამოცემა, რომლის ძალითაც ღამის სამუშევრის დრო განისაზღვრება 7 საათით.

2) ქალის შრომის დაცვის სფეროში. მთელი რიგი პროფესიის სახალხო კავშირის, (სამკურნალო დაწესებულებანი), რომლებშიაც მუშაობენ ქალები, განყოფილებამ ჩარიცხა ფიზიკურათ მომუშავეთა რიცხვში და მათთვის ღამით შრომა აკრძალა, ამ ჟამით მუშავდება კანონმდებლობა საზრალოთ წარმოებიდგან მათი მოხსნის შესახებ.

3) მცირე წლოვანთა შრომის დაცვის სფეროში: გამოცემულია ძირითადი დეკრეტი, რომლის ძალითაც ნებადართულია მცირე წლოვანთა შრომა 14—16 წლამდე, დღეში არა უმეტეს 4 საათის, 16—18 წლამდე 6 საათი დღეში; ყოფილ ამიერკავკასიის კომისარიატის დეკრეტით კი 14—17 წლიანებს ამუშავებენ 6 საათს დღეში და ღამეში.

მცირე წლოვანთა რიცხვი თფილისში აღწევს 800 კაცს, რომლებიც არიან დაქირავებულები, პროვინციაში მათი რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული.

სოციალურ დაზღვევის სფეროში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოქმედობდა დაზღვევის ორი კანონი; ეს კანონები იმდენათ იყვნენ შეზღუდული, რომ აქ მუშების მხოლოდ 8 კაცი იყო დაზღვეული ავადმყოფობისგან; უბედურ შემთხვევისაგან ამაზე ნაკლები. დაახლოვებით 110,000 მუშიდან და მოსამსახურეებიდან 1921 წ. პირველი იანვრისათვის სავალდებულო კასის წევრებად მთელ საქართველოში იყო 951 კაცი. განყოფილების პირველი ყურადღება ამაზე იყო მიქცეული და ს. ბ. ს. დადგენილების თანახმად პროფკავშირების ყველა წევრები მიწერილ იქნენ სავალდებულო კასაზე. გადიდებულია უფლებები კასის წევრისა ორსულობისა, მშობიარობის და ბავშვის კვების დროს გადიდებულია ყოველგვარ დახმარების რაოდენობა, გადიდებულია ფულით პენსია ბრიუსულ ტარიფის მიხედვით.

ყოველივე გადასახადი კასის წევრებზე მოხსნილია.

შრომის ინსპექციის და სპეციალურ მეთვალყურეობის სფეროში: პირველ დღიდანვე წარმოებასთან მოეწყო შრომის დაცვის კომისიები, რომლებსაც უკითხავდენ ლექციებს, შემდეგ შეუდგნენ შრომის ინსპექციის მოწყობას (ტექნ. სან.), რესპუბლიკის ყველა უმთავრეს ფუნქტებში მათი ორგანიზაცია გატარებულია.

დიდი უმრავლესობა დეკრეტების დარღვევისა ეკუთვნის შრომის ტექნიკურ და სანიტარულ პირობებს, იყო აგრეთვე აღმოჩენილი ბავშვის შრომის ექსპლოატაცია და სანაოდო კასირის დარღვევა სამუშაო დროის შესახებ. ორთქლის ქვაბების მეთვალყურეობა 16 ივლისს ს. ბ. უ. ს. განკარგულებით გადავიდა შ. ს. კ. შრომის დაცვის განყოფილებაზე, რის შემდეგაც დათვალიერებული იქნა რესპუბლიკის უმთავრესი ქარხნები.

შრომის ინსპექტორთა საჭირო კადრის შესაქმნელად, 1 ნოემბერს გაიხსნება საინსტრუქტორო კურსები, რომლის საშუალებითაც შეიძლება დაყენებულ იქნეს სათანადო სიმაღლეზე შრომის დაცვის საქმე.

ხელფასის განყოფილება. რუსეთში და საერთოდ საბჭოთა ქვეყნებში ეკონომიურ პოლიტიკის შეცვლის შემდეგ განყოფილება შეუდგა ახალ მასალის დამუშავებას და შრომის დაკმაყოფილების ახალ ფორმების გატარებას ადგილობრივ წარმოების პირობების მიხედვით. ამ მუშაობის მიზანს წარმოადგენს დაუახლოვოს შრომის ხელფასი ცხოვრებისათვის საჭირო მინიმუმს.

ამ მიზნისათვის გამომუშავებულია ნატურალური ულუფა კალორიებით და ხდება გამოყვანა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფასიანი ქორეპციისა, სადაც განხორციელდება დაკმაყოფილება ნატურით ფულის ნაცვლად. წარმოების გასაძლიერებლად განყოფილებამ გამოიმუშავა მთელი რიგი ნორმა სამუშაოს შეფასებისა.

განყოფილების კოლეგიას ჰქონდა 10 სხდომა, რომელზედაც განიხილეს 84 საკითხი, მათ შორის განხილულ და დამტკიცებული 21 საერთო ხასიათის პრემიალური სისტემა; ორი კოლექტიური პრემია, 5 ინდივიდუალური სახის სისტემა, 7 დებულებანი სამუშაოს შესახებ და დამტკიცებულია სამი ახალი ტარიფი, განიხილეს 5 პრინციპიალური საკითხი და რამდენიმე ინსტრუქცია.

საკონფლიქტო ქვეგანყოფილება, სექტემბერში შემოვიდა სულ 29 საქმე, რომელთა შორის მუშათა სასარგებლოთ გადაწყდა 6, 1 დამქირავებლის სასარგებლოთ და 6 მორიგებით.

კონფლიქტების ხასიათი შემდეგია: დათხოვნის დროს არა სწორი დაკმაყოფილების გამო 14 საქმე, დაქირავ. და არ გადახდა ნამუშევარ ხელფასისა—9, უკანონოთ დათხოვნა 6.

კულტურულ განყოფილება. კულტურულ განყოფილებამ გატარა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანია, გახსნა პროფტექნიკურ განათლების სკოლა, ბავშვთა ბაღები და სასადილოები.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობისათვის დაარსებული ჰქონდა ყველა კავშირებს კავშირთა განათლების ხელმძღვანელობით საგანგებო სკოლები. ამ ჟამად გახსნილია წარმოებებთან 30 სკოლა. სკოლებში სიარული ძალიან იკლებს იმის გამო, რომ სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი [illegible]. გახსნილია 3 სკოლა პროფტექნიკური განათლებისათვის: მეტალისტებისა, საბჭოთა მუშაკთა და [illegible] სკოლაში უკვე მოეწყო პირველი [illegible] კურსები, რიცხვით 18 კაცისა. მეტალისტთა პროფტექნიკურ სკოლას აქვს ორი განყოფილება: ელექტროტექნიკური და მექანიკური, დაიარა 90 კაცი. კურსი განსაზღვრულია 6 თვით. ახლა ემზადება გასახსნელად შოფერთა სკოლა. საბჭოთა მუშაკების კავშირის იქვე გახსნილია მანქანაზე წერის და სტენოგრაფიის კურსები. ოქტომბრის დამსწრეულის დღისათვის გახსნილ იქნება მუშათა ფაკულტეტი პოლიტექნიკუმთან. ფაკულტეტზე იქნება 200 ადგილი. მათ შორის 75 პროც. მუშებისათვის და 25 მოსამსახურეებისთვის.

საბავშვო ბაღები გახსნილია სულ 140 სულისათვის, განზრახულია საბავშვო სკოლების გახსნა მუშათა ცენტრალურ კლუბთან 500 ბავშვისთვის.

განათლების კომისარიატის მიერ გახსნილ მუსიკალური სტუდიაში პროფკავშირებს დათმობილი აქვს 700 ადგილი.

ამ ხნის განმავლობაში ყველა კავშირებში მოწყობილი იქნა 15 კონცერტი, 25 მიტინგი, 14 ლექცია, 2 ექსკურსია, გახსნილ იქნა 28 ბიბლიოთეკა და 29 მოძრავი ბიბლიოთეკა, 28 სამკითხველო, მოწყობილია კონცერტები 12, დრამატიული დასი 11.

შედგა ერთი გაერთიანებული თათბირი განათლების კომისარიატის კოლეგიის და პროფკავშირთა საბჭოს კულტურული სექციისა, რომელზედაც გადაწყვეტილ იქნა მთელი რიგი პრინციპიალურ კითხვებისა. უკანასკნელ ხანში მოხდარ ცალკე კავშირთა ყრილობებზე კეთდებოდა მოხსენება კულტურულ მუშაობის და პროფგანათლების შესახებ.

რაც შეეხება პროვინციასთან კავშირის და იქ კულტურულ მუშაობის მოწყობას, განყოფილების მიერ გაგზავნილ იქნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც აღნუსხული იყო ძირითადი პრინციპები კულტურულ განმანათლებელი მუშაობისა. განზრახულია ასეთი ცირკულიარული წერილები გაიგზავნოს თითეულ საკითხებზე ცალკე. განყოფილებასთან მოეწყო [illegible] ქვეგანყოფილება, რომლის მიერ 10 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე განაწილებულია 180.000 ცალი სხვა და სხვა გაზეთისა, გახსნილია 13 პატარა სამკითხველო, რომელშიც საერთო წიგნთა რიცხვი უდრის 2300 ცალს.

პროვინციაში

ეწრის რაიონი. (თიან. მაზრა).

5 ოქტომბერს შესდგა ეწრის რაიონის ყველა სოფლის არჩეულ პირთა თათბირი. დაესწრო ოთხმოცამდე წარმომადგენელი. მათ შორის 19 კომუნისტი. დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1. მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და კომუნისტური პარტიის ტაქტიკაზე. 2. მოხსენება რევკომის. 3. მოხსენება ადგილებიდან. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მოსე ცინცაძე, რომელიც ვრცლად ასურათებს თანამედროვე პოლიტიკურ სიტუაციას და აღნიშნავს, რომ მსოფლიო ფაქტიურად გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად და სწარმოებს გრანდიოზული ძალთა დარაზმვა კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ. აღნიშნავს საერთაშორისო მუშათა კლასის მასიურ მოძრაობას. კომუნისტური პარტიის გაძლიერება დღითი დღე ზრდის გაკოტრებას კაპიტალის დამცველ [illegible] პარტიებისას, ახამარებს მეორე ყვითელ ინტერნაციონალს და [illegible] გაერთიანებას მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისას. აღნიშნავს აგრეთვე მუშების [illegible] ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, აქედან ის გადადის საკითხზე თუ როგორი დამოკიდებულებაში არის კომუნისტები გლეხებთან. აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ეხება მიწის საკითხს და სწავლა-განათლებას და სხვ. მოხსენებამ ყრილობაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. მიღებულ იქნა ამხ. ცინცაძის მიერ წამოყენებული რეზოლუცია. გლეხებმა მოითხოვეს რათა ასეთი ყრილობა იმართებოდეს ყოველ თვიურად. რევკომისაგან მოხსენებას აკეთებს ამხ. თურქაძე, რომელიც აღნიშნავს იმ მძიმე პირობებს, რომელშიდაც უხდება მუშაობა რევკომს. რევკომის საერთო მოხსენებებით ყრილობა დარჩა კმაყოფილი. მოხსენება ადგილებიდან გაკეთდა თითქმის ყველა სოფლიდან. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გლეხობის მთელი სიმპატია კომუნისტური პარტიისაკენ არის. ნატურ გადასახადი არ იწვევს უკმაყოფილებას. გლეხები მზათ არიან ყოველი დახმარება გაუწიონ საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას. დასასრულს ამხ. ცინცაძე, მოუწოდებს გლეხებს მტკიცე სიფხიზლისკენ, და ხელი შეუწყონ დეკრეტების გატარებას და საბჭოთა ორგანოების მუშაობას.

ხაშურელი მოხუცი.

—

სამტრედიის რაიონი.

წლევანდელი წელი საკმაოდ ცუდი შეიქნა სამტრედიის რაიონისათვის. ჯერ იყო და ხანგრძლივმა გვალვებმა გაახმო სიმინდები, რამაც ძლიერ დააფიქრა სოფლის მუშა. შემდეგ, მარიამობისთვიდან, დაწყებული ორი დღე ერთმანეთზე დარი არ გვინახავს, სულ წვიმები და გრილი ამინდებია, მდინარე რიონმა რამდენიმეჯერ გადაიარა და სულ წალეკა ყანები (დაბლებზე). დიდია საზრუნავი გლეხებში. ჩვენში ძალიან გვიან თესვა იყო, რაც საჭიროებდა სექტემბერ-ოქტომბერში კარგ მზიან თბილ ამინდებს; ეს კი არ არის, სიმინდი ვერ მწიფდება სიცივისაგან და ჰქნება ტარი მოუმწიფებელი. სხვაგან ამ დროს რთველი უკვე დაწყებული იყო, ეხლა ჯერ კიდევ მკვახე სიმინდებია, არ ვიცით მომავალი წელი როგორი იქნება სამტრედიის რაიონში სურსათის მხრით. 7 ოქტომბერს გომის თემში (სამტრედიის რაიონი) იქნა ადგილობრივ მილიციის მიერ მოკლული ცნობილი ყაჩაღი თევზაძე, რომელიც ძლიერ ავიწროებდა ახლო მახლო მცხოვრებლებს. სროლის დროს შეცდომით დაიჭრა მსუბუქად გომის რევკომის თავმჯდომარე. რევკომი შეუდგა სამტრედიაში ქუჩების გასწორებას და ახლების გაყვანას, რაც საჭიროებს ფართო მასის დახმარებას, საჭიროა ჩვენი ხალხი ყოველმხრივ დაეხმაროს მას ამ საქმეში.

ხანგრძლივი ცუდი ამინდების შემდეგ ამ დღეებში უკეთესი ამინდები დაიჭირა.

ავადმყოფობა მთელს რაიონში ძალიან მოდებულია, ზოგიერთი ექიმები ისე გათამამდა, რომ—500,000 და 300,000 თხოულობენ რამოდენიმე ვერსის მანძილზე წასასვლელათ ავადმყოფთან.

გაზეთების გავრცელების საქმე, რომ საერთოთ ცუდათ არის დაყენებული ეს საიდუმლო არ არის, მაგრამ სამტრედია ამ მხრით ნამეტან უბედურ მდგომარეობაშია. ისე გადის სამი და ხან ოთხი დღე, თბილისის გაზეთებს ვერ ვღებულობთ, და შემდეგ ორ სამ ნომერს ერთად ვიღებთ: რაშია საქმე, ნუ თუ სამტრედია ყოველ დღეს არ უნდა ღებულობდეს გაზეთებს? რა უშლის ამას ხელს არ ვიცით. საჭირო კია ექსპედიციამ იზრუნოს გაზეთების თავის დროზე მიწოდებაზე, რადგან პროვინცია ისედაც პროვოკატორების გავლენას განიცდის.

ხან-კანი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დროებითი ინსტრუქცია.

იმ წესისდა შესახებ, რომლითაც გატარებულ უნდა იქმნას შრომისა და ტვირთსაზიდავ საშუალებათა ბეგარა რკინის და შარაგზების შესაკეთებლად.

1. ბეგარათა გატარების წესის მე-2 მუხლის აღსასრულებლად, შრომის განყოფილებამ, რევოლუციონურ კომიტეტთან ერთად, უნდა მოახდინოს აღრიცხვა;

2) იმ მცხოვრებლებისა, რომელთაც შრომის უნარი აქვთ და რომელნიც 18—50 წლისანი არიან. სიათ ცალკე უნდა შეადგინოს და მათ შემდეგი ცნობები უნდა იყოს:

ა) ნომერი რიგზე; ბ) გვარი, სახელი და მამის სახელი; გ) ხნოვანება, დ) ოჯახური მდგომარეობა; ე) პროფესია (ან სხვ. მუშაობა); ვ) შენიშვნა (აქ უნდა იყოს ცნობა შრომის უუნარობაზე).

ბ) ტვირთსაზიდავ საშუალებებისა და მუშა-პირუტყვის და გადასაზიდავ იარაღისა სიაში შემდეგი ცნობები უნდა იყოს:

ა) ნომერი რიგზე; ბ) გვარი, სახელი და მამის სახელი, გ) რა მუშა-საქონელი და იარაღები; დ) რა ტვირთსაზიდი საშუალება და რამდენი (ურემი, „პავოზკა“, და სხ.); ე) შენიშვნა.

შენიშვნა: სოფლებში აღრიცხვა უნდა მოახდინოს თემისა და სოფლის რევოლუციონურმა კომიტეტმა, რომლებიც იქცევიან 1 ლ მუხლის ა. და ბ. პარაგრაფის თანახმად.

2. აღრიცხვაზე გამოცხადებულთ თან უნდა ჰქონდეთ:

ა) პირადობის მოწმობა, რომელზედაც აღნიშნულია რეგისტრაციის მორიგი ნომერი; ბ) წლოვანების დამამტკიცებელი მოწმობა; გ) თუ შრომის უნარი დაკარგული აქვს—ექიმის მოწმობა.

3. აღრიცხვის დამთავრების შემდეგ შრომის განყოფილებამ აღრიცხულ მცხოვრებლებისა და ტვირთსაზიდავ საშუალებების საერთო რიცხვიდან უნდა გამოყოს საჭირო რაოდენობა და დანიშნოს მათთვის ბეგარაზე გაწვევის რიგი.

შენიშვნა: სოფელში ბეგარაზე გასაწვევად სოფლის რევოლუციონურმა კომიტეტმა სოფლის ორ ამორჩეულ კაცთან ერთად უნდა გამოჰყოს სიიდან, თანახმად ბეგარათა გატარების წესის მე 3 და 4 მუხლებისა, მუშა-ხელის და ტვირთ-საზიდავ საშუალების საჭირო რაოდენობა.

4. ბეგარაზე გაწვეულნი [illegible] და მიხედვით გაყოფილ უნდა იქმნან რამდენიმე ჯგუფად. ჯგუფებად გაყოფის დროს [illegible] მიღებულ უნდა იქმნეს შეთანხმება იმათთან, ვინც მუშაობას აწარმოებს.

5. ბეგარაზე გაწვეულებს უნდა გამოუცხადონ მუშაობისა და გასამრჯელოს გასტუმრების პირობები და სამუშაოზე გაგზავნის დღე. იქვე უნდა ჩამოერთვათ მათ პირადობის მოწმობები.

6. სამუშაოზე გაგზავნის წინ შრომის განყოფილება რევოლუციონურ კომიტეტთან ერთად ნიშნავს ჯგუფის უფროსს, რომელსაც ევალება მუშები და ტვირთსაზიდავები დანიშნულ ადგილზე მიიყვანოს და იქ სიით ჩააბაროს.

7. ჯგუფის უფროსს ევალება თვალყური ადევნოს, რომ ბეგარაზე გაწვეულთაგან არავინ გაიქცეს, დეზერტირობა და გაქცევა და თუ დეზერტირი აღმოჩნდა ვინმე, მისვლისთანავე აცნობოს პასუხისმგებელ წარმომადგენელს.

8. პასუხისმგებელი წარმომადგენელი მუშებისა და ტვირთსაზიდავების პირველ ჯგუფის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობებს შრომის განყოფილებას შემდეგ ჯგუფის გაგზავნის შესახებ და შეუდგება იმ დაკისრებულ მოვალეობის აღსრულებას, რომელიც ნაჩვენებია „ბეგარათა გატარების წესის“ მე-7 მუხლში.

9. შრომის განყოფილება სოფლის რევოლუციონურ კომიტეტებს უგზავნის ცნობებს იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა გატარდეს ბეგარა და რანაირია პირობები მუშაობისა და გასამრჯელოს გადახდისა.

10. საქმის ნაყოფიერებისათვის შრომის განყოფილება და სოფლის რევოლუციონური კომიტეტები აგიტაცია-პროპაგანდას უწევენ იმ სოფელთა შორის, სადაც ბეგარაა და უხსნიან ხალხს ბეგარის მიზანს და დანიშნულებას.

11. ის პირნი, რომელნიც დეზერტირობას ჩაიდენენ და გაიქცევიან, დაარღვევენ წესებსა და ინსტრუქციებს და, საზოგადოდ, ხელს შეუშლიან ბეგარის ნაყოფიერად გატარებას, რევოლუციონური დროის კანონების მიხედვით სასტიკ პასუხისგებაში იქმნებიან მიცემულნი.

შრომის სახალხო კომისარი
ლ. დუმბაძე.
ბეგარათა განყოფილების გამგე
ჩუგუნიძე.
საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ქვე-განყოფილების გამგის მოადგილე
ნახუცრიშვილი.

წესრიგი

შრომისა და ტვირთსაზიდავ საშუალებათა ბეგარის გატარებისა რკინის და შარა გზების შესაკეთებლად.

თანახმად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის დადგენილებისა № 70 და დეკრეტისა № 69, შრომის სახალხო კომისარიატი შრომისა და ტვირთსაზიდავ საშუალებათა ბეგარის გასატარებლად ადგენს შემდეგ წესრიგს:

1. ბეგარის ცხოვრებაში გატარება ევალება შრომის სამაზრო განყოფილებებს. ეს განყოფილებანი თავიანთ რაიონის რკინისა და შარა-გზების ამა თუ იმ ნაწილზე, მუშაობის დაწყების დროის შესახებ უნდა შეუთანხმდნენ იმათ, ვისაც ამ ნაწილებზე სარემონტო სამუშაოთა წარმოება აქვთ დავალებული.

2. მუშაობის დაწყების დროის განსაზღვრის შემდეგ, შრომის განყოფილებამ უნდა მოახდინოს აღრიცხვა როგორც 18—50 წლის შრომისუნარიან მცხოვრებლებისა, ისე ცხენების, ხარების, ცხენისა და ხარის ურმებისა. აღრიცხვა უნდა შეეხოს იმ ადგილებსა და სოფლებს, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ შრომისა და ტვირთსაზიდავ საშუალებათა ბეგარაში და რომელნიც აღნიშნული არიან შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებაში. შრომის განყოფილება სათანადო სოფლების რევოლუციონურ კომიტეტებს სახელმძღვანელოდ უგზავნის შესაფერ ცნობებს.

3. აღრიცხვაზე აღებულ მცხოვრებთა და ტვირთსაზიდავ საშუალებათა საერთო რიცხვიდან საჭირო რაოდენობის გაწვევის დროს ბეგარაზე, შინაგან მმართველობის ადგილობრივ დახმარებით, საჭიროა მიღებულ იქმნას მხედველობაში სასოფლო მეურნეობის ინტერესები.

4. თანახმად ამ წესრიგის მე-3 მუხლის მოთხოვნილებისა:

ა) შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან თავისუფლდებიან: ა) ის პირნი, რომელნიც ტვირთსაზიდავ საშუალებათა ბეგარას იხდიან; ბ) სახელმწიფო დაწესებულებასა და წარმოებაში მოსამსახურენი; გ) ოჯახის ერთად-ერთი მარჩენალნი; დ) ისინი, რომელნიც ინახავენ ოჯახის არა ნაკლებ ხუთი წევრისას და რომელნიც მუდმივ მუშაობას ეწევიან; ე) წითელ არმიელის ოჯახში დარჩენილი მარჩენალი; ვ) ისინი, ვისთვისაც მძიმე შრომამ შეიძლება დამღუპველი გავლენა იქონიოს (ავადმყოფი, დაჭრილი და შრომის უნარ დაკარგულნი).

ბ) ტვირთსაზიდავ საშუალებათა ბეგარისაგან თავისუფლდებიან: ა) ის ფერმები ან ტვირთსაზიდავი საშუალებანი, რომელნიც სახელმწიფო მოვალეობას და დაწესებულებებს ემსახურებიან; ბ) ის ოჯახები, რომელთაც ჰყავთ ცხენები, ხარები, ურმები, მაგრამ არა ჰყავთ შრომის უნარიანი მამაკაცი (ოჯახის მარჩენალი).

შენიშვნა: ტვირთსაზიდავ ერთეულად ითვლება ცხენი, ცხენის ურემი და ერთი კაცი, ან უღელი ხარი, ურემი და ერთი კაცი.

5. შრომის ბეგარის გატარების დროს შრომის განყოფილებათა მოვალეობაა, კონტროლი გასწიონ, რომ არავინ დაარღვიოს კანონები შრომის დაცვის შესახებ იმათ მიმართ, ვინც ბეგარაზეა გაწვეული.

6. დავალების საქმის ნაყოფიერად ასასრულებლად შრომის განყოფილება:

ა) იწვევს შინაგან მმართველობის ადგილობრივ განყოფილებისა და მიწის განყოფილებათა წარმომადგენელთა თათბირს, ამ დარგში თავის მოქმედების შესათანხმებლად ადგილობრივ ორგანოებთან; ბ) თავის დროზე იღებს ყოველგვარ ზომას, რომ სოფლის რევოლუციონურ კომიტეტებმა თავის დროზე გზავნონ მუშები და ტვირთსაზიდავი საშუალებანი; გ) დაუყოვნებლივ აცნობებს შრომის სახალხო კომისარიატს იმ სერიოზულ დაბრკოლებათა შესახებ, რომელიც საქმეს გადაეღობება, და აგრეთვე იმ პირთა შესახებ, რომელნიც ხელს უშლიან ბეგარის ნაყოფიერად გატარებას, რათა დამნაშავენი სამართალში იქმნენ მიცემულნი რევოლუციონურ დროის კანონების მიხედვით; დ) თვალყურს ადევნებს, რომ ვერავინ გაიქცეს მუშაობიდან გაქცევა ან დეზერტირობა, იღებს ზომებს დეზერტირების შესაპყრობად და ატყობინებს ამის შესახებ შრომის სახალხო კომისარიატს; ე) უგზავნის შრომის სახალხო კომისარიატს ანგარიშებს შესრულებულ სამუშაოების, მუშა-ხელის გამოყენების და მუშაობის შედეგის შესახებ.

7. შრომის განყოფილების ზემო აღნიშნულ საქმეთა განსახორციელებლად თათბირი ნიშნავს იქ, სადაც მუშაობაა, მუდმივ პასუხისმგებელ წარმომადგენელს, რომელიც მონაწილეობას იღებს შრომის მობილიზაციის გატარების საქმეში. იმ საქმეთა გარდა, რომელიც დაკისრებული აქვს შრომის განყოფილებას, წარმომადგენლის მოვალეობას შეადგენს:

ა) გადაცემა გზის ადმინისტრაციისათვის ადგილებიდან მიღებულ მუშებისა და ტვირთსაზიდავ საშუალებისა; ბ) მონაწილეობის მიღება გაწვეულთა სხვა და სხვ. ადგილებზე დაგზავნის საქმეში; გ) თვალყურის დევნება, რომ შრომის ბეგარაზე გაწვეულმა დროზე მიიღოს შესაფერი გასამრჯელო; დ) მიღება და გადაგზავნა, სადაც რიგია, ყოველგვარი საჩივრებისა ბეგარაზე უკანონოდ გაწვევის და შრომის დაცვის კანონების არ დაცვის შესახებ; ე) მიწოდება სისტემატიურ ინფორმაციისა შრომის სამაზრო, განყოფილებისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და გაგზავნა ანგარიშებისა შესრულებულ საქმეების შესახებ.

შრომის სახალხო კომისარი
ლ. დუმბაძე.
ბეგარათა განყოფილების გამგე
ჩუგუნიძე.
საორგან. საინსტრ. განყ. გამგის მოადგილე ნახუცრიშვილი.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება.

15 ოქტომბერს საქართველოს სამ. ე. ს. პრეზიდიუმმა რევკომის 15 ივლისის 1921 წ. № 42 დეკრეტის თანახმად დაადგინა გადაეცეს საქართველოს ს. ს. რ. საკუთრებით [illegible] და კომ. [illegible] კონტროლის ქარხანა, სადგ. ქანხანა.

1) ამ წარმოების ყველა მუშა და მოსამსახურე ჩაირიცხოს სახელმწიფო სამსახურში ადგილებზე დატოვებით, 2) ს. მ. ე. ს. [illegible] განყოფილებამ დაუყოვნებლივ მიიღოს აღნიშნული წარმოება და შეუდგეს მის მართვას, 3) [illegible] ქონება ეკუთვნის ს. მ. ე. ს.

სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს თავმჯდომარე [illegible].
ს.მ.ე.ს.პრეზიდიუმის მდივანი ა.მიქაძე.

1-ლი საბჭოთა სპილენძის ქარხანა.

ცნობების მიხედვით ს. მ. ე. ს. ივლისში 1 საბჭოთა სპილენძის ქარხანაში გადადნობილია და გაწმენდილებით 673 ფუთი, აგვისტოში კი—100 ფუთი და სექტემბერში 1300 ფუთი, [illegible] დაკეტვის შესახებ. ქარხანას აქვს თავისი ელექტრო-სადგური [illegible] ფუთისათვის.

ელექტრონის სადგურზე.

ელექტრო-ტექნიკური კურსების მსმენელები, რიცხვით 61 კაცი, შეუდგნენ რემონტს, ყოფილ [illegible], ადგილობრივ და კორგანოვის ელექტრონის სადგურების მომსახურე მანქანებისას, შეუდგნენ აგრეთვე [illegible] (პრესი) ნაწილების დამზადებას. საჭიროებით არაა მასალები და მანქანის ნაწილები.

საპნის წარმოების გამოკვლევა.

ს. მ. ე. ს. ქიმიურ განყოფილების კოლეგიამ საპნის წარმოების კონცენტრაციის საკითხის შესახებ დაადგინა, დანიშნოს კომისია კოლეგიის შემდეგი წარმომადგენლებით: ქიმიურ განყოფილების, ეკონომიურ განყოფილების, ქიმიკოსთა პროფკავშირების და ქონების ნივთიერების ქვე-განყოფილების გამგისა. ეს კომისია შეადგენს საპნის ქარხნების გამოკვლევას, რის შემდეგ გამოიმუშავებს საპნის წარმოების კონცენტრაციის პროგრამის პროექტს.

ტურბოგენერატორის აშენება.

ს. მ. ე. ს. ქიმიურმა განყოფილებამ მიიღო სათანადო ზომები, აჭარის მინის ქარხანაში ტურბოგენერატორის ასაშენებლად.

შრომის ბეგარა.

ამ ჟამად საქართველოს ფოსტებში უკვე ტარდება მთელი რიგი მუშაობა შრომის ბეგრის საშუალებით, რომელიც დაწესებულია საქართველოს რევკომის დეკრეტის ძალით.

სურამი.

ადგილობრივი პროფესიონალური საბჭო აწარმოებს მუშაობას სურამის მიდამოებიდან შეშის ჩამოსატანად.

კახეთის რკინის გზა.

ოქტომბრის დამდეგიდან დაიწყო მუშაობა ჩალაუბნის ხიდის შესაკეთებლად ყოველ დღე მუშაობს 100 კაცი მობილიზაციით, რომელიც გატარებულია სიღნაღის შრომის ინსპექციის მიერ.

ალაზან-გაღმა რაიონი.

ამ რაიონიდან თესლს და საქონლის საკვებს უზიდებიან სადგურ წნორისწყალზე.

ტყის მასალების გადაზიდვა.

განზრახულია ერთი წლის განმავლობაში მობილიზაციის საშუალებით ხმელეთის ტრანსპორტი აწარმოებს ტყის მასალის გადაზიდვა შემდეგ რაიონებში: საჩხერისა, აჯამეთისა, ზემო რაჭისა, ბორჯომისა, სიღნაღისა და შულავერისაში.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 3—74.
— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.
— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე-3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.
— მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible].
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკ—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება [illegible] ნაშუადღევის 2 საათამდე.

საქართველოს წითელ ლაშქრის პოლიტგანყოფილება აუწყებს ყველა ამხანაგებს ცალკე სანაპირო ბრიგადის სამხედრო კომისრის

ამხ. ლუარსაბ თუხარელის

უდროოდ სიკვდილს. დასაფლავება იქნება მიხეილის საავადმყოფოდან ვერის სასაფლაოზე კვირას 30 ოქტომბერს დილის 11 საათზე. დასწრება ყველა სამხედრო კომუნისტებისათვის სავალდებულოა.

საქ. წით. ლაშქრის პოლიტგანყოფილება.

სხვა და სხვა

ვინაიდან ს. ს. რ. საზღვაო ტრანსპორტის პოლიტიკური კომისარი ს. ა. ზაბოვი გადაყენებულია თანამდებობიდან, ამიტომ ყველა მოწმობანი, მოწერილი ყოფილ [illegible] კომისრის უფროსის ს. ა. ზაბოვის მიერ ა. წ. ოქტომბრიდან ჩაითვალოს ძალა წართმეულათ.

ს. ს. რ. საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს პოლიტ. კომისარი ქვაჩანტირაძე.

მიწად-მოქმედების კომისარიატის საძოვრების ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს სხვა და სხვა საზოგადოებრივ, კოოპერატივთა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს ამ ნოემბერს დილის 12 საათზე საძოვრების ქვე-განყოფილების შენობაში ([illegible] ქ. № 2, მეორე სართული) მოხდება საჯარო ვაჭრობა, სადაც ერთი წლის ვადით ე. ი. 1 იანვრიდან 1922 წ. 1923 წ. იანვრის 1-ლს გაიცემა იჯარით შემდეგი სათევზაო ადგილები თბილისის და ბორჩალოს მაზრაში: ყარაიაზის ტბა, მდინარე მტკვარი, ხრამი, მაშავერა და დებედა ჩაი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება როგორც მიწად-მოქმედების საძოვრების ქვე-განყოფილებაში, აგრეთვე თბილისის მაზრის მიწების ფონდის გამგის კანცელარიაში (თბილისის კათოლიკური ქ. № 17) როგორც საზოგადოებრივი დაწესებულება, აგრეთვე კერძო პირი იხდის გადასახადს ნატურით, რომელიც პერიოდიულად სახალხო სასურსათო კომისარიატის ორგანოებს ბარდება. გარდა ამისა კერძო პირს შეაქვს საწინდარი მიწად-მოქმედების კომისარიატში. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ უნდა შეიტანონ განცხადება სახალხო მიწად-მოქმედების კომისარიატში განსაკუთრებულ სავაჭრო კომისიის სახელობაზე საგერბო მარკით 5.000 მან. არა უგვიანეს ნოემბრის 10-სა.

ამა წლის ნოემბრის პირველს თბილისში გაიხსნება

საიარაღო და საზარბაზნო ტექნიკის და პირო-ტექნიკის კურსები

რთულ და საპასუხისმგებლო მატერიალურ ნაწილის თანამედროვე იარაღების, საარტილერიო, ხელსაწყო იარაღისა, თოფის წამლის, ყუმბარების და სხვა [illegible], მოვლა და შენახვის სპეციალისტების მოსამზადებლად. კურსებზე მიიღებიან საქართველოს ქვეშევრდომნი 4-ს კლასიან სასწავლებელ გათავებულები 17—26 წლამდე. კურსები გაგრძელდება არა უმეტეს 12 თვისა. მეცადინეობა იწარმოებს რუსულ ენაზე. თეორიტიული საღამოს 5—8 ს. 1—2 საათამდე, პრაქტიკული დილით 8 საათ. 11 საათამდე.

განცხადებები კურსებზე მიღების შესახებ შესაფერ დოკუმენტებით შეტანილ უნდა იქმნეს კურსების გამგის სახელზე ([illegible] შესახვ. № 3, საარტილერიო განყოფილება) არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა.

ყოველ გვარი ცნობების მიღება კურსების შესახებ შეიძლება იქვე ყოველ დღე, დილის 9—3 საათამდე.

საარტილერიო განყოფილების უფროსი სამხ. ინჟინერ ტექნოლოგი [illegible].
სამხედრო კომისარი [illegible].

ამით ვაცხადებთ, რომ ქალაქის რევკომის კომუნალური განყოფილებისაგან

აკრძალულია თბილისიდან რესპუბლიკის გარეთ ან შიგ რესპუბლიკის სხვა ადგილებში გადატანა შემდეგ ნივთების, როგორიც არიან: ბუფეტის შკაფი, ტანისამოსის შკაფი, საერთოდ შკაფი, სასადილო მაგიდები, კამოდი, სკამების დიდი რიცხვი, რკინის დგამი და აგრეთვე საკერავი მანქანები, სამუსიკო ინსტრუმენტები, ნოხები და ხალიჩები.

კომუნ. განყოფ. თავმჯდომარე: გოგიტიშვილი.
დგამის სექციის გამგე: შ. ჩაქველაძე, მდივანი: ქუთათელაძე.